წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. პარასკევი ოქტომბრის 13—(26) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ღირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . [illegible]
ქალაქ გარედან[illegible] განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 148 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 148

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

**საღამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების**

მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა

## 8-კლასიანი გიმნაზია

**უფლებით აღჭურვილი.**

ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უეგზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელათ. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს სადამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათამდე.

**მისამართი:** ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი № 3.

ქუთაისის სადვილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის

## გამგეობა

საყურადღებოდ აცხადებს, რომ საქმის წარმოება როგორც ცენტრალურ ისე ფილიალურ განყოფილებაში ქართულათ წარმოებს, ამიტომ ყოველივე წერილობითი განცხადება, თხოვნა და სხვა, რომელიც კერძო პირთ შემოაქვთ, ქართულათ უნდა იწერებოდეს, გამონაკლისი ხდება მხოლოთ რუსთათვის, რომელთაც ქართულათ წერა არ იციან. ამგვარათვე ყველა დაწესებულებას გამგეობასთან მიწერ-მოწერა ქართულათ უნდა ექნეს.

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის სოდა და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება „ქირონინი“, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ექიმი**

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## დავკარგე

5 მაისს 1917 წ. მე-60 მუხ. ძალ. მოცემული სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა. მპოვნელს ვსთხოვ მოიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში ან წყალგალმა უბ. კომისარიატში.

**დავით ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე.**

## ბრძოლა იწყება.

რუსეთის რევოლუციის ცენტრს —პეტრეს ქალაქს შავი დღეები დაუდგა, მის დასაუფლებლათ მიიჩქარის გარეშე მტერი, მის შუაგულში სამოქალაქო სისხლის ღვრის გამართვას აპირებენ თვითონ რუსეთის შვილები.

დემოკრატიულ თათბირზე წარმოშობილი წინასწარ პარლამენტს მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატები განრისხებით მიეგებენ. კრონშტადტის ფიალიალმა განყოფილებამ დაადგინა, რომ დრ. მართველობას მეუმრავლესენი მხარს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუჭერენ, დრ. მმართველობა კონტრ-რევოლუციურია, იგი უნდა დაემხოს და მართვა-გამგეობა საბჭოებს გადაეცესო.

თანდათან აშკარავდება და გარკვეულ სახეს ღებულობს მეუმრავლესეთა უკმაყოფილება. გუშინწინდელი დეპეშა გვაცნობებს, რომ მეუმრავლესენი უკვე გასულან წინასწარ პარლამენტის შემადგენლობიდან. ახლოვდება ოცი ოქტომბერი და ყველა დარწმუნებულა, რომ ეს დღე პეტრეს ქალაქისთვის მართლაც საბედისწერო იქნება.

გერმანეთის ლაშქარი სატახტო ქალაქს უახლოვდება, ამიტომ დრ. მმართველობამ გადასწყვიტა მოსკოვში გადასვლა. ამ გარემოებამ დიდათ აღელვა მეუმრავლესენი, ისინი დრ. მმართველობას დეზერტირს უწოდებენ და აცხადებენ, თუ მმართველობა წავა ჩვენ საკუთარ კომუნას გამოვაცხადებთ და რევოლუციას მოუვლითო. მეუმრავლესეთა მთავარი საწადელი—მმართველობის საბჭოების ხელში გადასვლა ერთფეროვანი მართვა-გამგებლობის შექმნაა. ასეთია სურვილი მეუმრავლესეთა, მაგრამ საყურადღებოა, ვის ემყარებიან მეუმრავლესენი? რუსეთში ქვეყნის ერთგული უტეხი ძალა აღარ არის. მოისმინეთ რას სწერს გლეხთა შესახებ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიის ორგანო „იზვესტია“. „გლეხები აგროვებენ პურს და ალპობენ მას.

ზურგს უკან მყოფნი ჯარის-კაცები უფრო ჩაცმულ-დახურულები არიან, ვიდრე ბრძოლის ველზე. ისინი ხშირად იტაცებენ პროვიანტს, რომელიც ბრძოლის ასპარეზისთვის იგზავნება. გლეხები არ ასრულებენ თავის მოვალეობას, დაზარმაცდნენ, უქმობას მიეჩვიენ. მუშები? მათ არ სურთ ერთი საათით, მეტი იმუშაონ, არ ფიქრობენ იმ ლაშქრის შესახებ, რომელიც ლაშქარიც მათ იცავს მხოლოდ მათგან კი ბედის ანაბარათ არის მიტოვებული. „იზვესტია“ დაასკვნის, რომ ეს გაიძვერობა ქვეყნის ღალატია“

მთელ რუსეთში ამ ხანათ ასეთი „ღალატი“ ტრიალებს. არ არის ერთობა ეროვნული სურვილი. მერვე თვეა, რაც რუსეთი მხოლოთ დარღვევას განიცდის. პრიმიტიული ქვეყნის სასწრაფოდ სოციალურად გარდაქმნა მოიწადინეს, რამაც ყველას თავბრუ დაასხა და ანარქია გაამეფა.

ვინ იცავს ამ ჟამათ რუსეთს როგორც მთლიან სახელმწიფოს? არავინ. არა რუსი ერები ეროვნულ შემოქმედებას იწყებენ ბუნებრივი ერთობა რუსეთში აღარ არსებობს, რაც შეეხება ძველს მუხრუჭისებურ იძულებითი ერთობას, იგი რევოლუციამ დაარღვია. თვით ერთგული ყაზახებიც განზე გადგენ დანაწილდენ და დრ. მმართველობას უცხადეაენ: ყაზახობა გაანთავისუფლეთ სამხედრო პოლიტიკურ ბეგრისგანო. (იხ. დღევანდელი „ჟურნ. გაზ“.) ამას აცხადებენ ბრძოლის ველზე მყოფი ყაზახები დაუმატეთ ამას დონის ყაზახების რესპუბლიკა.

მეუმრავლესენი უკვე იწყებენ ბრძოლას თუ გავრცელებული ხმები გამართლდა და მეუმრავლესენი გამოვიდნენ 20 ოქტომბერს, შესაძლებელია რუსეთის სახელმწიფო და დიდი რევოლუციის ბედიც გადასწყდეს. როგორ? ამას ახლო მომავალში გავიგებთ.

**დის.**

## პატარა ერთა შორის.

ბალტიის მხარეში მოსახლეობენ ესტონელები, რიცხოვნობით 1 მილიონამდის. მათ ეკუთვნით ერთი ესტონური გუბერნია (ესტონეთი) და აგრეთვე ჩრდილო ნაწილი ლიფლანდიის გუბერნიისა. ესტონელები ფინურ მოდგმისა არიან, ისინი დიდხანს იყვენ სხვა და სხვა სახელმწიფოების უღელ ქვეშ და ამ მონობის დროს ესტონელმა ხალხმა შეიქმნა მტკიცე ხასიათი და რკინისებური ნების ყოფა, ყოველ მოსულისადმი უნდობლობა და თავის დაცვისთვის ძლიერი, უდრეკელი სურვილი. რუსეთს ცეცხლით და მახვილით აქვს შემოერთებული ესტონეთი და მათ შორის არავითარი იურიდიული ხელშეკრულება არ დადებულა. ესტონეთის ერისთვის წინაპართ არ გადმოუციათ ისტორიული უფლებები. მიუხედავათ ამისა ესტონელები მხნეთ და სიცოცხლით აღსავსენი გამოვიდენ რევოლუციაში და აუწყეს რუსეთს, რომ მათ საკუთარი ეროვნული ცხოვრება სწადიათ, რაც დღესვე უნდა განხორციელდეს.

უკანასკნელ დროს ესტონეთის ერის წარმომადგენლები რუსეთის დრ. მმართველობის იუსტიციის მინისტრს მალიანტოვიჩს წარუდგენ და მოახსენეს, რომ ესტონეთის ერი მოითხოვს სასამართლოს გაეროვნულებას და მართლ მსაჯულების საქმის ესტონურ ენაზე წარმოებას. მინისტრი დადებითად შეხვედრია წარმომადგენლების მოთხოვნილებას და უთქვამს: მე განკარგულებას მოვახდენ, რომ დაკმაყოფილებულ იქმნას თქვენი წადილი და ახლავე გადავსცემ ამ კითხვას საიურისკონსულტო ნაწილს, რომ შესაფერი კანონ-პროექტი შეიმუშაოსო“.

უწინარეს ყოვლისა გამარჯვება ესტონელებს, რომლებიც ასე თავგამოდებით მოქმედობენ ეროვნულ ცხოვრების გასამტკიცებლათ, ასეთი ერი არ მოკვდება..

ორიოდე სიტყვა საქართველოზე.

ათასჯერ ნათქვამის განმეორება გვიხდება. ქართველ ერს წინაპრებმა დაუტოვეს ისტორიული უფლება 1783 ტრაკტატის სახით. 1783 წლის ტრაქტატის მიხედვით საქართველოს არა თუ სასამართლოს გაქართულება შეუძლია, არამედ მთელი ცხოვრების ეროვნულათ აღდგენა და ეროვნულათ დატრიალება. აწინდელ გადამტეხ, ნგრევის ხანაში უუფლებო ერები თვითონ სჭედენ თავისთვის უფლებას.

ქართველი ერი თავის ნამდვილ მემკვიდრეობითს უფლებას, ვერ იცავს.

სამწუხაროა, უაღრესათ სამწუხარო! რათ არ უნდა გაქართულდეს ამ ჟამათვე სასამართო ქუთაისში, თბილისში, ბათომში, ფოთში და სოხუმში? რა უდგება წინ? შეიძლება გვიპასუხონ, რომ ყველა ქართველმა სასამართლოს მოხელემ ქართული არ იცისო. დავიჯერებთ. მაგრამ, როდესაც მთელი წარმოება ქართულ ენაზე იქნება, მაშინ ენის შესწავლა, საჭირო ტეხნიკურ ტერმინების შემუშავება არც ისე ძნელი საქმე იქნება, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. ამის შესახებ მეტად საყურადღებო და საიმედო ამბებს მოისმენთ იმათგან, ვინც გაბედა და პირველი ნაბიჯი გადასდგა.

თუ ასე არ მოვიქეცით, თუ დაწესებულებათა გაქართულება ეხლავე არ მოვახდინეთ, მაშინ ეს საქმე, მუდამ ჟამ გადადებულათ დარჩება არეული ცხოვრება რაიმე გარკვეულ კალაპოტში ჩადგება და ჩვენი ხალხი ვერ ეღირსება იმას, რაც მისთვის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს!

ხერხდება სკოლის ნაციონალიზაცია, ენერგიულათ მომუშავენი სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას,

სრულიად არ მიგვაჩნია სასამართლოს გაქართულება შეუძლებლათ. კითხვა მოითხოვს, მხოლოთ ენერგიულ საქმიანობას სასამართლოს უწყებიდან შეუფერხებელ პირთა გაძევებას ქართველ მოსამართლეთა და ნაფიც ვექილთა შტატის შედგენას.

ხალხი ელის თავის გასაგებ ენაზე სასამართლოში საქმის გარჩევას.

რევოლუციამ ხალხს რეალი ნაყოფი უნდა არგუნოს, თორემ მარტო წითელ დროშის აფრიალება და რევოლუციური ძახილი ხალხს თავის ტკივილებს ვერ დაუამებს, მოთხოვნილებათ ვერ გაუნაღდებს.

სასამართლო, როგორც მაღალი ის დაბალი, დაუყონებლივ უნდა გაქართულდეს.

**ირ—დი.**

## რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

### დეპეშები

**ტროცკის სიტყვა.**

რიგის გარეშე განცხადებით გამოდის ბოლშევიკი ტროცკი, რომელსაც ხმა მაღლა პროტესტით უმრავლესობახშირად აწყვეტინებს სიტყვას. ისმის აღშფოთებული ხმები. ტროცკი აცხადებს: ცენტალ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მოწვეულ დემოკრატიულ საბჭოს ოფიციალ მიზნად აღიარებული იყო: უპასუხისმგებლო პირადი ხასიათის მმართველობის გაუქმება და შექმნა ისეთი პასუხისმგებელი მთავრობისა. რომელიც შესძლებს ომის გათავებას და დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევას. კულისების იქით მოქმედებით კადეტებმა და ესრების და მენშევიკების ბელადებმა შეჰქმნეს მთავრობა, რომლის გარშემოც ფარულ და აშკარა ხელმძღვანელების როლში კორნილოვის მომხრენი გამოდიან. ამ მთავრობის უპასუხისმგებლობა ფორმალურად უკვე აღიარებულია, ხოლო რუსეთის რესპუბლიკის საბჭო სათათბირო ორგანოდ გადააქციეს რევოლუციის მერვე თვეში მთავრობა თავისთვის საფარსა ჰქმნის ბულიგინის სათათბიროს ახალ გამოცემ-

ისაგან. ტროცკი კრებას მიუთითებს, რომ მთავრობის შემადგენლობაში ცენზიანთა წარმომადგენლები ბევრნი არიან და სახელმწიფოში კი მათი მნიშვნელობა ნაკლებია. დამფუძნებელ კრებაზე ცენზიანები ასეთ ბედნიერებას მოკლებულნი იქნებიან. ცენზიანი ელემენტები, რომ დამფუძნებელ კრებისთვის ემზადებოდნენ, ისინი არ მოითხოვდნენ ეხლა უპასუხისმგებლო მთავრობას. მათი მთავარი მიზანი დამფუძნებელ კრების დაშლაა. (პროტესტები მარცხნიდან). ამ მთავარმიზანს ემორჩილება მთელი მათი საშინაო პოლიტიკა ცენზიანი ელემენტები ხელს უწყობენ ომის მიერ გამოწვეულ არევას და აშკარად მიემართებიან შიმშილის ჩონჩხის ხელისაკენ, ხოლო შიმშილმა უნდა წაალჩოს რევოლუციაც და დამფუძნებელი კრებაც.

**ოქტომბრის 10-ის სხდომა**

სხდომა იხსნება 11 საათ. და 30 წ. თავმჯდომარეობს ავქსენტიევი, რომლის მოხსენებითაც კრებამ მიიღო უხუცესთა საბჭოს წინადადება 12 კომისიის გამოყოფისა და სხდომების ორშაბათის, ოთხშაბათისა და პარასკეობით მოწვევის შესახებ. კრება საჭიროდ სცნობას ამავე დღეს აირჩიონ პირად შემადგენლობის და ნაკაზის კომისია. ნაკაზი 5 დღეში უნდა იქნეს შედგენილი. კრების წესრიგში პირველად აღნიშნულია მთავრობის მოხსენება სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ.

11 საათ. და 45 წ. კრება სწყდება.

კრება განახლდა 12 საათ. და 30 წ. მინისტრთა ლოჟებში იმყოფება კერენსკი, სხვა მინისტრები და უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი დუხონინი. თავმჯდომარე იუწყება, მთავრობა თავდაცვის შესახებ მოხსენების გაკეთებას აპირებს და საჭიროდ მიაჩნია საჩქაროდ საგანგებო კომისია არჩეულ იქნასო.

წინადადება მიიღეს.

გამოდიან სამხედრო და საზღვაო მინისტრები

**ვერხოვსკის სიტყვა.**

მტერი ხმელეთზე გადმოვიდ, დიდი ოპერაციები დაიწყო და ძალიან სცდილობს ახალი ზიანი მოგვაყენოს, მაგრამ თავის ყოფას ვერ დაუმორჩილებს ჩვენს თავს. სხვა პირობებში მის ცდა ჩვენი დამარცხებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ ეხლა კი არა. გერმანელები ფსიხოლოგიურ შედეგებს ისახავენ მთავარ მიზნათ. გერმანელებს ჰგონიათ, რომ რუსები სიმხდალეს გამოიჩენენ და გერმანელებს საზავო პირობებს ხელს მოაწერენ.

**ჯარის მდგომარეობა.**

ვინც ამბობს რუსეთის ლაშქარი აღარ არსებობსო, არ ესმით რას იძახიან. ჩვენ გერმანელთა 130, დივიზიას ვაბანდებთ. რუსის ჯარიო, შესძახებს მინისტრი, არსებობს და შეასრულებს კიდევაც თავის დანიშნულებას ბოლომდისო (ტაში მარცხნივ). აშკარა სისულელეა, ვითომც დადგება თუ არ სიცივე, ჩვენი ჯარი მიატოვებს სანგრებს და გამოიქცევაო (ტაში მარცხნივ). ჩვენ წარმოვადგენთ რეალურ ძალას, რომელსაც ყველა გაუწევს ანგარიშს.

**ანარქია ზურგის ჯარში**

ჩვენ ჯარში ფრონტზედა შიგნით ბევრი უბედურება მოხდა. საკმარისია ვთქვა, რომ ოქტომბრის 1-დან დღევანდლამდე შიგნით სახელმწიფოში 16 დარბევა იყო, 8 ღვინის საწყობების დარბევა. 24 სხვადასხვა ჯარის დაუკითხავად გამოსვლა, 16-ჯერ შეიარაღებულ ჯარის მოხმარება გახდა საჭირო ანარქიულ გამოსვლების ჩასაქრობად. მე მაშინ შევუდექი ჩვენს თანამდებობის ასრულებას, როცა კორნილოვის ამბავის გამო ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებას ბოლო არ მოჰლებოდა. შთაბეჭდილებ[ა] ისეთი იყო, თითქოს შეუძლებელი იყო ვისმე ნდობა, ვინაიდან თვით უმაღლესი მთავარსარდალიც დროებითი მთავრობის წინაალმდეგ წავიდა. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ ამ საბედისწერო ამბავმა აურაცხელი ზიანი მოგვაყენა.

**ანარქია ფრონტზე**

მინისტრი მიუთითებს იმ გარემოებაზე, თუ რა ანარქიული განწყობილება დაიბადა ფრონტზე უფროსებისა და ჯარისკაცთა შორის, განსაკუთრებით კორნილოვშჩინის შემდეგ. ეს სავალალო ავადმყოფობა ერთგვარად მოდებულია როგორც ფრონტზე, ისე ზურგს უკან მდგარს ჯარებში. მინისტრი არა მალავს, რომ არიან ჯარები, რომელნიც სამაგალითოდ იქცევიან და უდრტვინველად ემორჩილებიან ყოველს განკარგულებას, მაშინ, როდესაც უმეტესი ნაწილი მხოლოდ საყვედურებით მოდის. განსაკუთრებით უჩივიან ციმბირის ოლქისა და პეტროგრადის მხრით. ყოველი უბედურობის მიზეზი, მინისტრის აზრით, მხოლოდ გაუგებრობაა, ჯარებს არ ესმით, თუ რისთვის იბრძვიან იგინიო. დროებით მთავრობას დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ ფართოდ შეაგნებინოს მოვალეობა, რომ ყოველს ჯარისკაცს და ყოველს აფიცერს ესმოდეს, რომ ჩვენ დაპყრობით პოლიტიკით კი არ ვხელმძღვანელობთ, არამედ თავდასაცველად, სამშობლოს განადგურებიდან გადასარჩენად (ტაში მარცხნივ და რამდენადმე ცენტრში). დროებით მთავრობის სამხედრო პროგრამა, რაც უკვე მოხსენებული მქონდა დემოკრატიულს თათბირზე, ენერგიულად ხორციელდება ცხოვრებაში. ყველას ის უფროსები და საზოგადოდ ის პირნი, ვინც ასე თუ ისე კორნილოვის ამბოხების მოზიარენი იყვნენ, გადაყენებულ იქმნენ და მათ ადგილი დავაჭერინეთ უფრო სანდო და თანამედროვე მდგომარეობის გამთვალისწინებელ პირებისაგან. კომანდის შემადგენლობის საქმე საბოლოოდ მოგვარებულია. დღეს დღეობით სასურველად მიდის მათი მოქმედების ტემპი სამხედრო ძლიერების აღსადგენად. კანონებს იმუშავებენ და მალე გამოქვეყნდება კიდეც თუ რა წესით უნდა მოქმედებდნენ კომიტეტები და კომისრები. ამასთანვე მინისტრი საჭიროდ სთვლის, ყურადღება მიექცეს სალაშქრო ორგანიზაციებს, უწყოდნენ, რომ როგორც ძველის რეჟიმის დროს, ისე ეხლაც არიან ხალხნი, რომელნიც იქით გაჰკრავენ ხელს, საითაც ქარი დაუბერავს. აი, ჩვენ გამოგვიჩნდნენ ისეთი გენერლები, რომელთაც უკვე ალღო აუღეს თუ საიდან მოჰქრის ეს ქარი. აი, ასეთ პირებთანაც საჭიროა (ბრძოლა?), მწორედ ისე, როგორც დემაგოგებთან, რომელთაც უბრალო ჯარისკაცებში ვხედავთ ხოლმე ამოტივტივებულთ.

**ჯარის შემცირება**

ჯარის შემცირების შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ ეს უზარმაზარი საორგანიზაციო მუშაობა ფაქტიურად უკვე დაწყებულია ოთხი უკანწყსნელი წლის მოლაშქრენი. ლაშქარი ნელ-ნელ მცირდება, მაგრამ ყოველ ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ რაც იქნება, ყველა ღირსეული იყოს. დიდი ხარჯების შემცირებაზე ამ მოკლე ხანში ვიტყვით ჩვენს. ზომებია მიღებული, რომ ჯარები შევადგინოთ უმთავრესად მოხალისეებისაგან. ასეთივე ზომებია მიღებული ჯართა გაერთიანებისათვის. მინისტრი ხაზს უსვამს, თუ რა ძნელი საქმია არმიისათვის სურსათით უზრუნველყოფა. მიზეზი ისაა, რომ არის ზოგიერთა ფართო პურით მდიდარი ოლქები, რომელნიც მარცვალსაც არ იმეტებენ გასაყიდლათო. თუ სახელმწიფოსა ჰსურს, რომ ჯარი შიმშილის არ გაწყდეს. საჭიროა ის ოლქები აიძულოს და პური გაადებინოს. მაგრამ პურის იქით არის საკითხი. რასაც მეტად მწვავე ხასიათი აქვს. ესაა ჯარში წესიერების აღდგენა.

**წესიერების აღდგენა.**

სხვა და სხვა ხალხი სხვა და სხვანაირად უყურებენ ას საკითხს: ჰფიქრობენ, ვითომც წესიერების აღდგენა შეიძლება იძულებით, ერთი ეროვნების ჯარისკაცთა მეორისადმი მისევით, ანუ სხვა რაიმე სასტიკი ზომებით, რასაც მთავრობა მოიხმარებს. უნდა ვსთქვათ, რომ ერთად ერთი გარეშე ძალა, რომელიც დაიმორჩილებს და დააწყნარებს ყველას, მხოლოდ გერმანელთა ხიშტების ძალაა (ხმები მარჯვნიდან: „ეს ვერ არის კარგი“). თუ ჩვენ ვერ გამოვიჩენთ ძალას შიგნით სახელმწიფოში წესიერების დასამყარებლად, მაშინ ამ წესიერებას გერმანელთა ხიშტები ჩამოაგდებენ. (ხმები: არ შეიძლება ამნაირად ლაპარაკი“, პროტესტები ისმის). სახელმწიფოში წესიერების დასამყარებლად რესპუბლიკის საბჭომ უნდა აღიაროს, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალის მოხმარება, მხოლოდ ამაშია ხსნა (თანაგრძნობაა მარცხნიდან. რესპუბლიკის საბჭოს მინისტრი საჩქაროდ ურდგენს განსახილველად კანონპროექტი ჯარში დისციპლინის აღდგენისა, ცანაშაულისათვის დასჯის შესახებ. კანონპროექტი ჰგულისხმობს აგრეთვე დისციპლინალურ სასამართლოს, რომელიც 48 საათის განმავლობაში გამოიტანს დადგენილებას და შემდეგ ჯარის უახლოესს უფროსს დასჯის უფლება მიეცემა. აქამდეო, სთქვა მინისტრმა დასასჯელად ჯარს ნაწილიდან გამოჰყოფდნენ ამბოხების მეთაურებს და მათ სჯიდნენ. საჭიროა მთელი პოლკები ისჯებოდეს, დროებით სახლში გაშვების უფლება წაერთვათ და ტუსაღის საკვებზე იქნენ გადაყვანილი, არ მიეცემათ ჯამაგირი. საბჭოს წევრებმა გადაჭრით უნდა სთქვან, რომ სახელმწიფოს გადასარჩენად აუცილებლად საჭიროა იარაღის ხმარება. (მილიუკოვი ადგილიდან იძახის: „ჩვენ მთელ ხალხს არ მოუწვევივართ“. მარჯვნიდან ისმის: „ჩვენ ხალხის წარმომადგენლები არა ვართ“ ხმაურობაა). ყოველ შემთხვევაში,—იძახის მინისტრი,—ეს ერთად ერთი წარმომადგენლობითი ორგანოა სახელმწიფოისა (თანაგრძნობა მარცხნიდან). ამიტომ გადაწყვეტით ვამბობ თუ არა გნებავთ იმ მდგომარეობაში ჩაცვივდეთ, რომლის შესახებაც ბისმარკმა სთქვა, რომ ჩვენ მხოლოდ თვალებს დაგვიტოვებენ ჩვენი უბედურების დასატირებლად, —ჩვენ უნდა ვეცადნეთ, ვიდრე გვიან არ არის სახელმწიფოს ანარქიისაგან გადასარჩენად ყველა ზომები მივიღოთ.

## რევოლუციის ამბავი.

### პ. დ. ს.

**დეპეშები.**

**ინტერნაციონალისტების კონფერენცია.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 10 ოქტომბრის 18-სათვის პეტროგრადში იწვევენ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალისტების კონფერენციას. კონფერენციაზე ბოლშევიკებს არ იწვევენ.

**სავინკოვის განდევნა**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 10. ყოფილ სამხედრო მინისტრ სავინკოვს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ მოთხოვა განმარტება მის პოლიტიკურ მოღვაწეობის შესახებ. სავინკოვმა აცნობა რომ იგი პარტიის ცენტრალ კომიტეტის მორალურ და პოლიტიკურ ავტორიტეტს აღარ სცნობს, ვინაიდან მის ზოგიერთ წევრებმა გერმანეთზე ვაიარეს და ამათ მტერთან კავშირი იქონიეს. ამასთან ეწინააღმდეგება ზოგიერთ წევრების პოლიტიკურ მოღვაწეობას, ვინაიდან იგი სამშობლოსათვის დამღუპველად მიაჩნია. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალ კომიტეტის დადგენილებით სავინკოვი პარტიიდან განიდევნა.

**უწესოება ჯარში**

**მომქმედ ლაშქარი.** ოქტომბრის 8. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი თავის ბრძანებაში აღნიშნავს, რომ ლაშქრის რაიონში რამდენიმე ალაგას უწესოება მოხდა, ღვინის საწყობები დაარბიეს და პური გაანადგურეს. კომიტეტებს მოუწოდებს ზომები მიიღონ.

**ძარცვა-ძალადობა ბეჟეცკში**

**ბეჟეცკი.** ოქტომბრის 8. ჯარისკაცად გამოწყობილებმა ღვინის საწყობები გაძარცვეს. სოფლად გაზართეს ქეიფი; მთვრალებმა ისევ ძარცვასა და და ძალადობას მოჰყვეს ხელი. მოკლულია 1.

**მცხოვრებთა ხოცვა ცარიცინში**

**ცარიცინი.** ოქტომბრის 9. მშვიდობიან მცხოვრებთ თავზარს სცემს მძარცველთა ბრბო, რომელიც მთელ ოჯახებსა ხოცავს. მარტო ენკენისთვეში 170 ძარცვა გლეჯა მოუხდენიათ.

**ზომები დარბევის წინააღმდეგ**

**ოდესა.** ოქტომბრის 8. ბოლო დროს დარბევის აგიტაცია გაძლიერდა. საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტების გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა ზნეობრივი გავლენა იქონიოს ფართე მასაზე. აიკრძალა მიტინგები და ქუჩაში თავის მოყრა. ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში წითელ გვარდიელების, ჯარისკაცების და მეზღვაურების ყარაულებს დააყენებენ.

**ყაზახები ანარქიის წინააღმდეგ**

**ტაგანროგი.** ოქტომბრის 6. სამთომადნო ქარხნების დარბევისაგან დასაცავად ყაზახები ჩამოვიდნენ.

**სარდაფის დამტვრევა**

**რეველი.** ოქტომბრის 8. ღამე ბრბო ღვინის სარდაფის დამტვრევას ეცადა, მაგრამ ტყვიისმფრქვეველის საშვალებით გაჰფანტეს. შემდეგ სარდაფი წყლით გაავსეს,

**სარდაფის დაწვა**

**ნიკოლაევი.** ოქტომბრის 7. ღვინის სარდაფს მეორედ წაუკიდეს ცეცხლი. ქალაქში სიწყნარეა.

ახალი ბუდიდან იუწყებიან, რომ სურსათის სიმცირის ნიადაგზე თავნებით ჩხრეკა დაიწყო. ყაზახები წესიერება აღადგინეს.

---

# ერობა კავკასიაში.

## წერილი პირველი.

დიდათ საიმედო ამბავი მოვიდა პეტროგრადიდგან: შინაგან სამინისტროს გამგე იწერება, რომ ამ მოკლე ხანში ჩვენში იქნება შემოღებული **ერობა** და ამ რიგათ ყოველის მხრით დაჩაგრულ ჩვენს ერს ეძლევა საშუალება თავის ჭირ ვარამზედ იზრუნოს. ეს იმდენად სასიამოვნო ამბავია რომ საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ გაზეთში ერობის დიდი მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნისათვის.

ერობა რუსეთში 1864 წელში იყო შემოღებული და უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარი დიდ მნიშვნელოვანი საქმე რომანოვების სამასი წლის მეფობის დროს არაოდეს არ მომხდარა. მათ ხელში ისტორიას არ ახსოვს ისეთი მაგალითი, რომ რაიმე ორიგინალური, ხალხის სასარგებლო დაწესებულება დამყარებულიყოს, რომელიც წინეთ სამზღვარ გარეთ არ ყოფილიყოს შემოღებული. გლეხების გათავისუფლებაც კი რუსეთში უფრო მისთვის მოხდა, რომ ევროპა ამას მოითხოვდა და ბატონყმობის იმ მდგომარეობაში დატოვება, როგორც იმ დროს იყო, შეუძლებელი გახდა რუსეთისათვის. რაც შეეხება ერობას, როგორიც ის იყო შემოღებული მაშინ და არა ეხლანდელი, ესე იგი 1890 წლისა, სწორედ ორიგინალური დაწესებულება იყო და მასთანავე მეტად სასარგებლო.

რუსეთში ხალხმა დიდი ნიჭი გამოიჩინა ამ საქმეში და გასაკვირლად კარგად ისარგებლა კიდეც დღეს რუსეთში თუ შესაძლო შეიქნა რესპუბლიკის დამყარება, ამას ეხლანდელი მთავრობა რუსეთის ერობას უნდა უმადლოდეს, რომელმაც ამისთვის ნიადაგი მოამზადა. ერობის შემოღების დროს რუსეთში სოფელში მცხოვრები ხალხი, რომელსაც რეფორმა უფრო შეეხებოდა, ვინემ ქალაქებში მცხოვრები, სრულიად მოუმზადებელი იყო ცხოვრებაში იმის გასატარებლად, მაგრამ სოფლებს დიდი სამსახური გაუწია ინტელიგენციამ. მაშინდელი რუსეთის ცხოვრება იმ გვარად იყო მოწყობილი, რომ განათლებული და მომზადებული ხალხი უფრო ქალაქებს ეტანებოდა და სოფელში თავის შესაფერ საქმეს ვერ პოულობდა; სოფელში საცხოვრებლად რომ კიდეც წასულიყო, მას მაშინვე ეჭვის თვალით უყურებას დაუწყებდენ და შეიძლება კიდეც გაეძავებიათ იქიდგან. აი სწორეთ ამისთანა დროს იყო ერობა რუსეთში შემოღებული მთელი რუსეთის ინტელიგენციისა სასიხარულოდ, რომელიც დიდი ხალისით შეეგება ამ რეფორმას და მაშინვე ქალაქები დასტოვა და მედგრად ამოუდგა გვერდში სოფლის ხალხს.

დიდი საქმე იტვირთა ამ ინტელიგენციამ და სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ რიგიანათაც გაუძლვა იმისთანა საქმეს, რომლის მსგავსი არა თუ რუსეთში, დასავლეთ ევროპაშიაც არ მოიძებნებოდა იმ დროს. თავიდანვე საქმის მოწესრიგებისათვის ის იმოდენათ ერთგულად მოღვაწეობდა თავისი ნიჭითა, ცოდნითა და თავგანწირვით, რომ რამოდენიმე წლის შემდეგი იმ რეფორმის მომცემს, თვით ალექსანდრე მეორეს, შეეშინდა და დაუწყო რეფორმის ფრთების შეკვეცა, სრული მისი გაუქმება კი ვერ გაბედა. მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე მესამემ უფრო ცუდი თვალით შეხედა ერობის წარმომადგენლების მუშაობას, მათ გამბედაობას, მათ მუდმივ ზრუნვას ხალხზედ და ყოველივე ზომები იხმარა, რომ ერობა ისეთს კალაპოტში ჩაეყენებია, რომ ის პოლიციის მართველობას დამზგავსებოდა და კიდეც აღასრულა ეს 1890 წელში ახალი წესდების გამოცემით, მაგრამ ამაზედ შემდეგ ვიტყვით.

ერობის შემოღებისათანავე ხალხს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო: მან თითქო გაუთავებელი ღრმა ძილისაგან გამოაღვიძა და წინათ მისთვის უცნობის ინტელიგენციისაგან შეიგნო, თუ რა იყო მის ჭირ-ვარამი და რისთვის უნდა მიექცია თავის ყურადღება პირველ ხანებშივე.

დიდი ხნიდგან ხალხი მიმხვდარი იყო, რომ ის ადმინისტრაციული წესი, რომლის საშვალებით მთავრობა ხალხის ყოველს მოთხოვნილებას თითქო აკმაყოფილებდა, მისთვის გამოსადეგი არ იყო, მაგრამ სა უნდა ეთქვა მაშინ, როდესაც მას პირში ბურთი ქონდა ჩარჩული და კისერში მუხრუჭი მოჭერილი! ძალიან ვარგათ ხედავდა, რომ მას არც სწავლა-განათლება, არც საავათმყოფოები, არც გზები, არც გაჭირვებაში დამხმარე და მზრუნველი მის ჭირ-ვარამზედ არ გააჩნდა, მაგრამ ყოველსავე ამას ითმენდა. ამ დროს მას მოევლინა აგრეთ წოდებული ერობა, რომელმაც მისი ცხოვრება სრულიად შესცვალა, ახალი გზა უჩვენა და იქ, სადაც ის აქამდის დაბეჩავებული, უხმო, უენო პირუტყვად ითვლებოდა და ყოველი პოლიციის აგენტის ყურმოჭრილ ყმად იყო თვალებ გაახილა, სინათლის შუქს შეხედა და როცა მას გვერდით ამოუდგა ქალაქებიდგან ჩამოსული მის დასახმარებლად ინტელიგენცია, წელში გაიმართა თავის საქმების მოწესრიგებას შეუდგა. აი, რუსეთის ხალხს ერობის შემოღებამ რა ბედი მიანიჭა!

ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიხსენიოთ, თუ გინდა, ის აუარებელი რიცხვი სასოფლო, სახელოსნო, სამეურნო სკოლებისა, წიგნთ საცავებისა, პედაგოგიური კურსებისა, მასწავლებელთა კრებებისა და სხვა და სხვა ამ გვარ დაწესებულებისა; ანუ საექიმო ნაწილზედ ზრუნვა რომელზედაც ზოგიერთი გუბერნია ნახევარს თავის შემოსავალისას ხარჯავს და საქმე ისე რიგიანად აქვს დაყენებული, რომ არცერთი გაჭირვებული ავათმყოფი ექიმის უნახავათ არ დარჩება. რაც შეეხება გზების გაყვანას, ცეცხლისაგან უზრუნველყოფას, საქონლის მოშენებას, მის ექიმობას, კულტურულ მცენარეების მოშენებას სამეურნო იარაღების შეძენას ყოველსავე ამ გვარი სასარგებლო საქმის წარმოებას, ეს ყველა მან ტვირთა და ცხოვრება სოფლისა გააუმჯობესა.

ამ გვარია ერობის მნიშვნელობა, ეს არის მისი მოვალეობა და მწარმოებლად ხალხისგან არჩეული პირებია და არა მთავრობისგან დანიშნული ჩინოვნიკები, როგორც ეს იყო წინეთ-ერობის შემოღებამდის საუკეთესო მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი 1860 წლებისა მუდამ ამას გვილაპარაკებდენ, რომ სოფელი მეტად ჩამორჩენილია, უყურადღებოთ დატოვებული და უპატრონობით ჩაგრულიო მისი ასე დატოვება შეუძლებელიაო; კაბინეთებში გადაწყვეტა იმისი თუ როგორ უნდა იცხოვროს სოფელმა, ყოვლად შეუძლებელიაო. ამ ქადაგებამ გასჭრა და სახელმწიფოს მართველი პირები დაარწმუნა, რომ ძველი წესწყობილება ყოვლად შეუწყნარებელია ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რუსეთის თავადაზნაურობა იმ ხანებშივე მომხდარ რეფორმით, რომლის ძალით მას ჩამოერთვა გლეხები, ძლიერ გულნაკლული იყო მთავრობაზე და როცა ამას დაემატა ერობის შემოღება, რომელიც იმას ათანასწორებდა „მუჟიკებთან“ ყოველგვარ ხარჯებში და თითქმის უფლებებითაც, მაშინ სრულიად დაკარგა მოთმინება და მეტად გამოუცხადა ერობასაც და მის შემომღებ მთავრობასაც. ამისა გამო მოხდა ის, რომ გუბერნიებში, სადაც თავადაზნაურობა ცოტა იყო, ან სულაც არ იყო, როგორც ვიატკის გუბერნიებში იქ ერობა უფრო მალე გაღონიერდა და სამაგალითოთ მოეწყო. ამ უკმაყოფილებას საფუძვლათ ის ქონდა რომ ერობის შემოღებამდის თავადაზნაურობის ბიწა ზარკს არ იხდიდა ახლა კი ყველას ახდევინებენ და ყოველი გადასახადი მარტო გლეხებს აწვა კისერზედ, როგორც ფულადი, აგრეთვე ბუნებრივ გადასახადით (натуральная повинность). რა გასაკვირველია, რომ ეს გაბატონებული წოდება წინააღმდეგი იყო ამ დიად სასარგებლო რეფორმის შემოღებისა!

მართალია, რამოდენიმეთ თავადაზნაურობაც შეურიგდა ამ რეფორმას, მაგრამ ბატონობა მოინდომა. რადგან იცოდა რომ გლეხობა გაუნათლებელი ხალხი იყო, წერა კითხვა არ იცოდა, მომზადებული არ იყო ასეთი დიდი რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. სწორეთ ამ დროს ერობის ცხოვრებაში თავი იჩინა ეგრედ წოდებულმა მესამე ელემენტმა და იმდენათ გაამაგრა გლეხობა, რომ მას მალე აღარც კი სჭიროდა თავადაზნაურობის დახმარება. ეს მესამე ელემენტი შესდგებოდა მოსული ხალხისაგან, რომელსაც ადგილობრივ ერობაში ცენზი არ ქონდა, მაგრამ მან სწავლა-განათლება მიიტანა,-ესენი იყვნენ მომზადებული ადამიანები, როგორიც მაგალითად: ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინერები, ტეხნიკები და სხვადასხვა ამ გვარი ხალხი. ამათ ხალხის მდგომარეობა აინტერესებდა და არა პირადი ინტერესები; იცოდენ ამასთანავე, რომ რამდენათაც ადგილობრივი თვითმართველობა მკვიდ-

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

**საზღვაო მთავარ შტაბის ცნობა**

**პეტროგრადი.** ოქტომ. 9. რიგის ყურის ჩვენ მოდარაჯე რაზმების წინ მტრის დიდი ძალები გამჩნდნენ ტრანსპორტებით. მოონზუნდეს, როგორც ეტყობა, გერმანელები სწმენდენ. ბალტიის ზღვაზე დღის განმავლობაში ბრძოლა არ მომხდარა. ფინლიანდიის ყურის შესავალში მტრის წყალქვეშები. დადიანი ჩვენი ფლოტის მიზანი იყო დაყრდნობდა მოონზუნდეს სიმაგრეებს და ხელი შეეშალა მტრისათვის რიგის სრუტისა და მოონზუნდის ალებაში. მტერმა დიდი ძალები გამოუშვა. გამაგრებულ პოზიციების დაკარგვისა და გერმანელების მიერ დესანტის გადმოხსმის შემდეგ ჩვენი ფლოტის მიზანი იყო ესარგებლა ყველა საშვალებებით, რათა მტერი დაიზიანებია.

**მთავარ ბანაკის ცნობა**

**ბალტიის ზღვა.** ფეთის ყურის შესავალში გერმანელთა წყალქვეშები აღმოჩნდნენ. ოქტომბრის 8-ს 10 საათზე გერმანელებმა ნაღმოსნებიდან სროლა აუტეხეს ჩვენს ნაწილებს, რომელიც ჩვენს სანაპიროებს იცავდნენ. მალე გერმანელებმა ნახევარ კუნძულ ვერდერზედ იწყეს გადმოსვლა ვერდერზე მტერმა ორი როტა ქვეითა ჯარი გადმოსხა და ნახევარ კუნძულის დასავლეთი ნაწილი დაიჭირა.

**დაპყრობილ რუმინეთის მოსავალი**

**მომქმედი ლაშქარი.** ოქტომბრის 9. დაპყრობილ რუმინეთის მთელი მოსავალი გერმანეთში გაზიდეს.

**ვილჰელმი კონსტანტინეპოლში**

**მომქმედი ლაშქარი.** ოქტომბრის 6. ტყვეების აზრით, ვილჰელმის წასვლას კონსტანტინეპოლში მიზნად გერმანეთსა და ოსმალეთს შორის კავშირის განმტკიცება აქვს. ოსმალეთი კარგა ხანია აცხადებს, რომ იგი დაუძლურდა და ომის გაგრძელება აღარ შეუძლიან.

**ქლოროფორმიანი ყუმბარები**

**მომქმედი ლაშქარი.** ოქტომ. 8. ამ უკანასკნელ დღეებში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გმრმანელები ქლოროფორმიან ყუმბარებს ხმარობდნენ.

**ინგლისელთა გემების დაღუპვა.**

**ლონდონი.** ოქტომბრის 7. ჩრდილოეთის ზღვაზე შოტლანდიის კრძულებისა და ნორვეგიის სანაპიროების შუა ოქტომბრის 4 ინგლისიდან მიმავალ გემების ქარავანს გერმანელთა 2 სწრაფლ-მავალი კრეისერი თავს დაესხა. ქარავანს 2 ნაღმოსანი იცავდა, რომელითაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელთა კრეისერებს, ვიდრე არ ჩაიძირნენ. ამის გამო კრეისერები დიდი ხანს ვერა ჰბედავდნენ მიახლოვებას. ამან 3 ტრანსპორტს გაქცევის საშვალიბა მისცა. დაღუპეს შეუიარაღებელი 5 ნორვეგიული, დანიელთა 1 და შვეიციის —3 გემი. ინგლისის სადარაჯო გემმა ბრძოლის ადგილზე 30 კაცი გადაარჩინა. 135 კაცი დაღუპულა,

**იტალეთის გემის დაღუპვა.**

**ათინა.** ღვინობისთვის 1. (დაგვიანებული). ოფიციალი. ნაღმით დაღუპეს იტალიის ერთი გემი, რომელზედაც 360 ბერძენი მგზავრი იმყოფებოდა და საკონსულოს მოხელენი.

**მდგომარეობის მიმოხილვა.**

**მთავარი ბანაკი.** ოქტომბრის, 8. უმაღლეს მთავრსარდლის შტაბის საზღვაო წრეების ხელმძღვანელნი ბალტიის ზღვაზე დამყარებულ მდგომარეობის გამო აღნიშნავენ, რომ დიდი ნისლი შეუძლებლად ჰქმნის მტრის მოქმედბას თვალყური ვადევნოთ და შევიტყოთ ფართე ოპერაციის დაწყებას აპირებენ ხმელეთზე გერმანელები თუ არა. თეორეტიულ მოსაზრებით კი უნდა მოველოდეთ, გერმანელები ეცდებიან ხმელეთის ნაპირისა და ზღვის პირის ვიწრო წრე ჩაიგდონ ხელში და ამით მოონზუნდი ფლაბა უზრუნველჰყონ. მტრის ხმელეთზე გადმოსვლა მაშინ იქმნება ჩვენთვის სახიფათო, თუ ისეთი ფართე ველი იქნება, რომელიც საშუალებას მისცემს მას ჯარის თავისუფლად მოძრაობისას. ზემოხსენებული პირები აღნიშნავენ, რომ გერმანელების დესანტი გაპსალთან უფრო მოსალოდნელია, ვიდრე პერნოვთან, რადგანაც პირველ შემთხვევაში მტერს ზურგს გაუმაგრებდა ისეთი ჩინებული საზღვაო ბაზა, როგორიცაა მონზუნდი, რომელიც ყოველ მხრივ ქარებისაგან დაცულია. პერნოვთან დესანტის გადმოსასხმელად კი მტერს ახალი საზღვაო ოპერაციის დაწყება დასჭირდება და რიგის ყურეში საკომუნიკაციო ხაზი უნდა უზრუნველჰყოს. უკანასკნელ ხანებში გაზეთებში აღნიშნავენ, რომ ფინლიანდიის ყურეში შემოსასვლელად გრმანელებს ალანდიის კუნძულების აღება დასჭირდებათო. ეს აზრი შემცდარია. ყურეში შემოსვლა უამისოდაც შესაძლებელია.

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 8. ზღვაზე მოქმედება არ ყოფილა. კუივასტთან გამოჩნდა მტრის 2 დიდი ჯავშნოსანი, 3 კრეისერი და ნაღმოსნები. ოქტომბრის 8 ვერდერის სამხრეთით 8 ვერსის მანძილზე მდებარე სოფ. უსკიულს მტრის ნაღმოსნებმა ყუმბარები დაუშინეს. მეიზოვოლის (ვერდერიდან 12 ვერს. ჩრდილოეთთან) მიდამოებში კი დესანტის გადმოსხმას ეცადა, მაგრამ მოდარაჯე რაზმებმა სროლით განდევნეს მტერი.

---

რად იქნებოდა დაყენებული და სარგებლობას მოუტანდა ერს, იმდენათ მათი კეთილდღეობაც გამტკიცდებოდა და მათაც პატივი მოემატებოდა ამ მესამე ელემენტმა იმდენი ძალა შეიმატა საბოლოოდ, რომ უმისოდ ცხოვრება თავადაზნაურობამაც ვერ შესძლო.

1864 წლის ერობისა უმთავრესი ნაკლულოვანება ის იყო, რომ არჩევნებში მონაწილეობა ჰქონდათ მინიჭებული მხოლოდ მიწა-წყლის ანუ სავაჭროების პატრონებს, ესე იგი ვისაც ცენზი ქონდა და დანარჩენი, რომელთაც რიცხვი ორ მესამედზე არა ნაკლები იყო, ეს უფლება არ ქონდათ. ამას გარდა ცენზი ძალიან დიდი იყო და ამისა გამო ბევრს მსურველს აღკრძალული ქონდა დახმარება აღმოეჩინა ამ ახალი საქმისათვის. ამ ნაკლოვანებას მესამე (უცენზო) ელემენტმა შვენიერად დაუდო თავი და ისე მაგრად მოიდგა ფეხი საერო თვითმართებლოებში რომ თითქმის გაბატონდა და ამით ბევრიც აწყენინა, როგორც თავადაზნაურობას და ბურჟუაზულ კლასს, აგრეთვე მთავრობასაც, მაგრამ ცოდნას. მომზადებას დაბალი ხალხის სასიკეთოთ ალჭურვილს, ვერავინ ვერ გაუბედა წინ გადაღობებოდა ამის გამო იმ გუბერნიებში, სადაც ერობა იყო შემოღებული ხალხი ძლიერ განვითარდა და თავის ცხოვრება მოაწყო თავისდა სასარგებლოდ. ამისშესახებ ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი მკითხველთან, ჯერ კი საკითხი ერობას შემოღების თაობაზედ ჩვენ მი გვინდა პირდაპირ დაუ-ყენოთ, თუ როგორ შეიძლები ამ ჟამად მისი განხორციელება?

ჩვენის ჰაზრით შინაგან სამინისტროს გამგეს მოწერილობა კიდევ არ ამტკიცებს მას, რომ ერობა ახლავე იქნება, შემოღებული, რადგან იქ მოიხსენიება ისეთი პირობები, რომ მისი შემუშევება ბევრს დროს მოითხოვს და ჩვენ ამგვარი მოწერილობებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ.

**ჩვენ ახლავე სხვათა მოთხოვნილებათა შორის ერობის დაუყოვნებლივ შემოღება უნდა მოვითხოვოთ** წინეთ ჩვენ არ დაგვიკლია ყოველგვარი თხოვნა ამის შესახებ, მაგრამ როცა თხოენის ალსრულება სავალდებულო არაა მისთვის, ვისაც სთხოვ, მაშინ სხვაა, ახლა კი ჩვენ შეგვიძლია და სრული უფლებაც გვაქვს შემოვიღოთ იმ გვარი ერობა, როგორიც ჩვენი გამოსადეგი იქნება და არ უცადოთ, როდის მოისურვებს ამის შემოღებას პეტროგრადის მთავრობა, რომელსაც ახლა იმდენი ჭირ-ვარამი აწევს კისერზე, რომ ჩვენთვის არ სცალიან, ნუ თუ არ გვეყო ამდენი მოთმენა, ამდენი ხვეწნა და მუდარა ძველ მთავრობასთან და რომ კიდევ ეხლა უცადოთ იმათ შემოღებულ ერობის წესდებას, მაშინ როდესაც ყოველივე ეს შეგვიძლია აქვე შევიმუშაოთ და თუ მაინც საჭიროა მათგან დამტკიცება დავამტკიცებიოთ! ეს ისეთი კანონიერი მოთხოვნილებაა, რომ მაგის საწინააღმდეგო არავის არ ექნება. მთავრობის მოწვევით თუ ვმუშაობდით ამ კითხვის შესახებ, ნუ თუ ახლა, როდესაც ჩვენთვის ერობის შემოღების უსაჭიროესობა ცხადია, განა კიდევ უნდა შევსცქეროდეთ პეტროგრადს! სად არიან ის დაწესებულებანი და საზოგადო პირნი, რომელნიც ამაზედ წინეთ ზრუნავდენ?

ექიმი დ. ნაზაროვი.

---

**გერმანეთის შინაური სესხი**

**კოპენჰაგენი.** ოქტომბრის 8 ბერლინიდან მოსულ ცნობების თანახმად გერმანეთის შინაურ სესხზე 12 მილიარდ ნახევარ მარკაზე მოუწერიათ ხელი.

**სოციალური პოლიტიკა გერმანეთში**

**კოპონჰაგენი.** ოქტომბრის 8. დაიხურა სოც. დემ. ვიურცბურგის ყრილობა. კამათის განხილვის დროს შეიდემანმა ის აზრი გაატარა. რომ დრო დადგა თანდათანობით ფართე სოციალური პოლიტიკა ვაწარმოვოთ გერმანეთში, პირველ ყოვლისა კი სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიზაცია უნდა მოხდესო.

**დემოკრატიულ ორგანიზაციების მოწოდება გლეხებისადმი.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრ. 9. დემოკრატიულ ორგანიზაციათა საზოგადოებრივმა კომიტეტმა შემდეგის მოწოდებით მიჰმართა გლეხობას: — „ამხანაგო გლეხებო! სამშობლო ჩვენი მეტად მძიმე და აუტანელ მდგომარეობაშია. ჩვენ ვიბრძვით ხალხის უფლებათა განსამტკიცებლად მის ხელში მიწის გადასაცემად, და ამდროს გარეშე მტერი ახალ-ახალ შემოტევას იწყებს ფრონტზე. იგი რუსეთის მუდმივ მოხარკედ გადაქცევას იმუქრება. რუსეთს რუსის ერის მაგივრად ვილჰელმი დაეპატრონება და იგი ჩვენ ნიკოლოზ რომანოვზე უარესად მოგვეპყრობა. მაშინ აღარც დამფუძნებელ კრებას ვეღირსებით, გამოვთხოვეთ მიწასაო და თავისუფლებასაც, თუ ძლიერი ჯარი არ შევქმენით. ეხლა ჯარი რაინდულად იბრძვის, მიწისა და თავისუფლებისათვის არ ზოგავს თავს. და თუ იგი ვერ შესძლებს მტრის შეჩერებას ჩვენივე ბრალი იქმნება. ჩვენ მათ ღირსეულად არ უჭერთ მხარს. ვისაც არ ჰსურს მონად ქცევა, ვისაც ჰსურს მიწისა და თავისუფლების შერჩენა,—მსხვერპლს არ უნდა ზოგავდეს. უნდა გავილოთ პური რომ ჯარის კაცი ნახევარ გირვანქა პურის შემყურე არ გავხადოთ. მშიერი ჯარი სამშობლოს ვერ იხსნის, თუ ჩვენ არ დავეხმარეთ არავითარ მთავრობას არ შეეძლება ჯარის გამოკვება და ჩაცმა. და ნუ იფიქრებენ, რომ ჩვენ ისინი დაგვავიწყდნენ. დაანახეთ რომ ჩვენ, სახლში დარჩენილ მოხუც მამებს, პატარა შვილებს თუ ძმებს, დედებს, ცოლებს, დებს და ქალიშვილებს არ დაგვავიწყებია ჩვენი მფარველები, არ დაგვიწყებია მათი სირაინდე. ამისათვის, თქვენ გლეხებო, მოგიწოდებთ, როგორც რუსეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთ ოქტომბრის 29, 30 და 31-ში აგროვეთ ყველგან საჩუქრები ფრონტისათვის გაიღეთ ვისაც-კი რა შეგეძლებით: ხორბალი, ფქვილი, ორცხობელა. საცვლები, ტყავეულობა, სათბილობლები, ტყავი ფეხსაცმელი, მატყლი, ნაბდის ფეხსამოსი თამბაქო, ქაღალდი და მათ ვინც ჩვენთვის სისხლს ღვრიან იცოდნენ, რომ არ დაგვიწყებიან. გავამხნეოთ ჩვენი მებრძოლნი, რომ შესაძლო გახდეს სამშობლოს ხსნა მტრისაგან.

**მოწოდება ქალაქის მცხოვრებთადმი**

**პეტროგრადი.** ოქტომბრ. 9. დემოკრატიულ ორგანიზაციათა გაერთიანებულმა თავდაცვის კომიტეტმა ქალაქთა მცხოვრებლებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჯარს პური აკლია, მიუხედავად ზამთრის მოახლოვებისა ჯარისთვის თბილი ტანისამოსი არ არის, მტერი კი ძლიერად მოსწოლია ჯარს, რომელიც ძლივს უმაგრდება მას სატახტო ქალაქის გზებზე. როდესაც ასეთ პირობებში ჯარი ხედავს, რომ შიგნით სახელმწიფოში წესიერი ცხოვრება დაირღვა, და არაფერი აღარ იშოვება და შესაძლებელია მას გული გაუტყდეს, სიმტკიცე დაჰკარგოს და იფიქროს, რომ სახლში დარჩენილები აღარა ზრუნავენ იმათზე, ვინც მათ იცავს მტრისაგან. ჩვენ მოგიწოდებთ ოქტომბრის 29, 30 და 31 მთელ რუსეთში მოჰკრიბოთ ფული და სავნები ჯარის სასარგებლოდ. დეე, სოფლებმა პური გაიღოს, ქალაქმა კი ფული, თბილი სამოსი, ნაქსოვი, ჩაი შაქარი, საპონი, თამბაქო. ქარხნებმა, სავაჭროებმა, თეატრებმა, კინემატოგრაფებმა, ამ ნებივრობის თავშესაფარებმაც გაიღონ წვლილი იმათ სასარგებლოდ, ვინც სიცივეში მშიერ მწყურვალი სამშობლოს იცავს. დეე, ამ დღეებში მთელი რუსეთი შეერთდეს და ძლიერი, რკინის კავშირით შეჰკრან მცხოვრებნი ფრონტს. გაუმარჯოს რევოლუციონურ ლაშქარს!“

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

**კარლო ჩხეიძის ჩამოსვლა.** 5 ოქტომბერს პეტროგრადიდან გამოვიდა და 10 ოქტომბერს თბილისის სადგურზე გამოიარა რუსეთის რევოლუციის ბელადმა კარლო (ნიკ.) სვიმ. ჩხეიძემ. იგი მეტად დასუსტებული არის და დასასვენებლად საკუთარ სოფელ ფუთში (შორაპ. მაზ.) გაემგზავრა. ერთი კვირის შემდეგ კარ. ჩხეიძე ქუთაისსაც ესტუმრება.

✦ **ჭიათურის შ. მრეწველთა კრების გარშემო.** 8 ოქტომბერს, თფილისში **გ. ჟურულს** ეწვია ჭიათურის მრეწველთა დიდი ჯგუფის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ: ტიტე მარგველაშვილი, ა. ქავთარაძე, ბ. პაპავა რ. ანჯაფარიძე ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გ. ჟურული დათანხმდა მრეწველთა სურვილისამებრ მომავალ კრებას პირადათ დაესწროს.

✦ **გარნიზონის სასურსათო კომისიამ დაადგინა:** 1) იმუშაოს შეთანხმებით სისხლის საგამომძიებლო და თავდაცვის კომისიებთან და სამივე კომისიების საერთო კრება მონვეულ იქმნას კვირაში ერთხელ, 2) ეთხოვოს გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, რომ მან გააკეთოს სრული მოხსენება თავის მოქმედების შესახებ და აღნიშნოს რაოდენობა. ყოველგვარი სურსათისა რაც ქუთაისში მოიძებნება და 3) მოკლე ხანში დააწესოს ნიხრი ყოველგვარ სანოვაგეზე და მოაწყოს, რომ ყველაფერი ბარათების საშუალებით იყიდებოდეს. ნიხრი უნდა დაწესდეს სოფლიდან შემოზიდულ სანოვაგეზედაც.

✦ **მოხსენება.** ქუთაისის გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძემ ამიერ-კავკასიის დროებით მთავრობას გაუგზავნა სრული მოხსენება ქ. ქუთაისის დარბევის შესა-

✦ **იუნკრების გამგზავრება.** თბილისიდან ჩამოსული იუნკრები, რომელნიც ქალაქში წესიერებას იცავდენ, გარნიზონის უფროსის ბრძანებით 10 ოქტომბერს უკანვე გაემგზავრენ. ამჟამათ ქალაქს იცავს ჯარის-კაცთა საბჭოს მიერ არჩეული ჯარის-კაცები.

✦ **ტუსაღების გაგზავნა.** 10 ოქტომბერს ღამის მატარებლით თბილისს, მეტეხის ციხეში მოსათავსებლათ გაგზავნეს ჯარის-კაცთა საბჭოს მიერ დატუსაღებულნი ფარულავა, გელოვანი და კაკულია, რომელნიც ქუთაისის დარბევის დროს ჯარის-კაცებს ხელმძღვანელობას უწევდნენ.

✦ **გარნიზონის უფროსი.** ქუთაისის გარნიზონის დროებითი უფროსი პოლკოვნიკი გროზინსკი თბილისს უკვე გაემგზავრა, გარნიზონის უფროსის მოვალეობა ჩაიბარა პოლკოვნიკმა დობროხოტოვმა.

✦ **დამფუძნებელი კრება.** როგორც ვიცით ამიერ კავკასია გამოცხადებულია საარჩევნო ერთეულ ოლქათ. მხოლოდ ამაში არ შედის კავკასიის ფრონტი. დროებითი მთავრობის განკარგულებით წამოყენებული უნდა იქმნეს საერთო სია, რასაც მცხოვრებლები კარგათ ვერ გაეცნობა. ამისთვის ამიერ კავკასიის დამფუძნებელი კრების მომწყობმა ცენტრალურმა კომიტეტმა დროებითი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ თვითეულმა გუბერნიამ სიები ცალცალკე წამოაყენოს.

✦ **ბაღდადის რკინის გზა.** ბაღდადის რკინის გზის გაყვანის პროექტი უკვე დამტკიცდა ხსენებული რკინის გზა უნდა გაიყვანონ საირმიდან წაბლის ხევით, ბაღდადით, დიმით და დროებით შეუერთდება აჯამეთის გასწვრივ ანანოვის შტოს. როდესაც მდ. ყვირილაზე ხიდს გააკეთებენ ეს რკინის გზა თანახმად ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა გაყვანილ იქნება რიონის სადგურამდის.

✦ **თოფები.** გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძემ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს მოსთხოვა გამოგზავნილ იქნეს ქუთაისისათვის საკმაო თოფები, რადგანაც მდგომარეობა კვლავ საშიშიაო.

✦ **დამფუძნებელ კრების** არჩევნების მოწყობა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას დაახლოვებით 5000 მანეთამდის უჯდება.

✦ **ქალაქის სამკითხველო.** ქალაქის სამკითხველოს გამგემ პ. ლორიას ასულმა ქალაქის გამგეობას მოსთხოვა, რომ გადიდებულ იქმნეს სამკითხველოს მოსამსახურეთა შტატი. [illegible] ორი თანაშემწე, ოთხი შიკრიკი და ორი დარაჯიც.

✦ **დარბევის ნაყოფი.** სამთო უბნის კომისარმა საგამომძიებლო კომისიას გაუგზავნა 21,000 მანეთად [illegible] და [illegible], რომელიც მილიციონერებს [illegible] დროს ჯარისკაცებისათვის წაურთმევიათ.

✦ **წმ. ნინოს სასწავლებლის** მშობელთა წრის პრეზიდიუმის კრება დანიშნულია დღეს 13 ოქტომბერს.

✦ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის გამგეობის წევრის არჩევნები.** გუშინ, 11 ოქტომბერს მოხდა არჩევნები ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ორი წევრისა დასახელებული იყო ტიტე მარგველაშვილი. მიუხედავათ კრების სურვილისა, ტიტე მარგველაშვილმა უარი განაცხადა თანამდებობის მიღებაზე. შემდეგ ამისა კრებამ ბაქოდან მოიწვია იმავე ადგილზე ბ. ა. ლანდია და კობაძე

✦ **ქალაქის სასურსათო კომიტეტში** 12 ოქტომბერს, დღის 4 საათზე შესდგა ქალაქის სასურსათო კომიტეტის კრება. კრებამ ქალაქის სასურსათო სამმართველოს თავმჯდომარის ამხანაგათ აირჩია კს. კვანტრე და წევრებათ ს. მ. კაკაბაძე და თევზაძე. კომიტეტმა აგრეთვე დაადგინა, რომ მიმართოს გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, რომ შაქარზე ნორმა გადიდებულ იქმნეს 3 გირვანქამდე.

✦ **კამეჩების გაყიდვა.** რადგანაც გუბერნიის სასურსათო კომიტეტს განზრახვა აქვს ფურგუნებისათვის ცხენებს შეიძინოს 10 ულელი კამეჩი მიჰყიდა ანანოვს 18100 მანეთად.

✦ **მატყლი.** ქუთაისის გუბერნიის სასურსათო სამართველომ თავის რწმუნებულად აირჩია. გაწერელია. რომელიც უნდა გაემგზავროს თურქესტანში 20,000 ფუთი თურქესტანის მატყლის მოსატანათ. ეს მატყლი გუბერნიაში განაწილებული იქნება თანხმათ საგუბერნიო კომიტეტის ხელშეკრულებისა.

✦ **თევზი.** ზამთრის სეზონის მოახლოვების გამო ადგილობრივმა მეთავზეებმა მიმართეს სასურსათო კომიტეტ, რომ დართოს გაემგზავრონ სხვა და სხვა ადგილებში თევზის შესაძენათ.

✦ **რეალურ სასწავლებელში.** რეალურ სასწავლებლის დირექტორ გვთხოვს გამოვაცხადოთ: „კვირას, 15 ოქტომბრს, შუადღის 12 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია ამ სასწავლებლის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება. გასსაკუთრებულია შემდეგი საგნები 1) წრის წასული 1919-18 წლის ანგარიში, 2) მშობელთა წრის საბჭოს წევრების არჩევნები, დელეგატების არჩევა პედაგოგიურ საბჭოში.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ფოსტის გაძარცვა.** 4 ოქტომბერს სადგურ საგირიდგან (ბაქ. გ.) ს. პეტროპავლოვკისაკენ მიმავალ ფოსტას თავს დაესხენ თვრამეტი შეიარაღებული ცხენოსანი მძარცველები და განუწყვეტელი სროლა აუტეხეს. ფოსტის დამტარებელმა გ. ცატურიძემ და შემთხვევით მიმავალმა პრაპორჩიკმა ა. მებონიამ სროლითვე უპასუხეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იძულებული გახდენ ტყვიის უქონლობის გამო სროლა შეეწყვიტათ, სროლის დროს მძიმეთ დაიჭრა პრაპ. მებონია და მეეტლე ფოსტის დამტარებელი ცატურიძე და მილიციონერი უვნებლათ გადარჩენ. მოკლულია ორი ცხენი ამანათები დაამტვრიეს და რაც მოეწონათ წაიღეს. ზარალი დიდია გამძარცველთაგანი დაიჭრა სამი, მაგრამ უკანასკნელნი ამხანაგებმა წაიყვანეს და მიიმალენ. ადგილობრივმა კომისარებმა ყოველივე ზომები მიიღეს მაგრამ ჯერ ვერაფერი აღმოაჩინეს.

— **პატრიკეთის საზოგადოება.** ამ საზოგადოებაში წელს ჭირნახულის მოსავალი კარგია. დამფუძნებელი კრებისათვის აღწერილობა უკვე დაიწყო.

# ზავის გარშემო.

**საბერძნეთის მინისტრი ზავის შესახებ**

**ათინა** ღვინ. 8. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სთქვა: ბოლო ხანებში იმ პირებმა, რომლებსაც საზოგადო აზრის შეცდომაში შეყვანა აინტერესებთ, ხმები გაავრცელეს ზავის შესახებ, სინამდვილე კი სრულიად წინააღმდეგს გვიჩვენებს: ომი არამც თუ არ შესწყდება, არამედ მოკავშირეებმა ოფიციალად ერთსულოვნად დაადგინეს—ომი განაგრძონ

ვიდრე მილიტარიზმი სამუდამოდ არ იქნება მოსპობილიო.

**ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ყრილობა**

**კოპენჰაგენი.** ღვინობ. 8 ავსტრიის გერმანელ სოც.-დემ. ყრილობის მდივანმა განაცხადა, ყრილობის მთავარი მიზანი ზავისთვის მომზადებაო.

## უკანასკნელი დეპეშები.

დროებითი საბჭოში შედიან: 126—ცენზიან ჯგუფებიდან, 314—წარმომადგენელი დემოკრატიული ორგანიზაციებისა—ბოლშევიკების იმ 58 წარმომადგენლის გამოკლებით, რომელთაც დროებითი საბჭო ღვინობიათვის 7-ის სხდომაზე დასტოვეს, 25 ყაზახთა წარმომადგენელი, 5 ეროვნებათა ცენზიანი წარმომადგენელი, 27 ეროვნებათა დემოკრატიული წარმომადგენელი

—

პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში ტროცკიმ 10 ოქტომბრის კრებაზე განაცხადა ის მოტივები რისთვისაც მათ უარი სთქვეს წინასწარ პარლამენტში მონაწილეობის მიღებაზე სიტყვის ბოლოში მან მოუწოდა მსმენელებს მოემზადეთ იმ ბრძოლისთვის, რომელითაც ჩვენ მთავრობა ხელში უნდა ჩავიგდოთო. მის წინააღმდეგ მარტოვი გამოვიდა და სთქვა უდროვოა რომ მთავრობა საბჭოს ხელში გადავიდესო.

—

ბოლშევიკების ცენტრალმა კომიტეტმა ლენინის თავმჯდომარეობით გადასწყვიტეს დეპუტატთა საბჭოების მომავალ ყრილობაზე მთავრობის საბჭოების ხელში გადასვლა მოითხოვონ.

—

პეტროგრადში, ალექსანდრეს თეატრში „იოანე მრისხანეს სიკვდილი“-ს წარმოდგენის დროს მონარქისტებს დემონსტრაცია გაუმართავთ.

—

ტობოლის კომისარი თხოულობს ყოფილ მეფის ოჯახობისთვის თბილი ტანთსაცმელი გამოგზავნეთო. ალექსი ცუდად ჰგრძნობს თავს. ნიკოლოოზი აღარავის არა ნახულობს.

## ეროვნული კითხვა.

**ყუბანელ ყაზახთა რესპუბლიკა**

**ეკატერინოდარი.** ღვინობ. 6. ყაზახთა ჯარის რადაში ოლქის მართვა-გამგეობის პროექტი გამოაქვეყნე, რომლის მიხედვითაც ყუბანის რესპუბლიკა რუსეთში მცხოვრებელ ხალხთა კავშირის სწორუფლებიანი წევრია. რესპუბლიკას საკანონმდებლო რადა ჰმართავს. აღმასრულებელ ორგანოს შეადგენს ყუბანის მთავრობა და ყაზახთა ჯარის ატამანი, რომელსაც „ვეტო“-ს უფლება ენიჭება რადის მიერ მიღებულ კანონებზე. ცენტრალ მთავრობასთან რადას კონტროლიორად წოდებული თვისი დესპანი ეყოლება. საკანონმდებლო რადის არჩევნები დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. საარჩევნო ხმით სარგებლობენ მხოლოდ უფლებამოსილი მცხოვრებნი, ყაზახები, მთიელნი, გლეხები, თემელები და საადგილ-მამულო ამხანაგობათა წევრები. დროებითი მთავრობის კომისარმა დოლგოპოლოვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ ფედერატიულ რუსეთის პროექტის შედგენა რუსეთის დამფუძნებელ კრების უფლებათა უზურპაციას შეადგენს. პროექტი ანტიდემოკრატიულია და ცენზიან წრეებისათვის სასარგებლოო და მცხოვრებთა დიდ ნაწილს, რომელიც სამშობლოსათვის სისხლსა ჰღვრის საარჩევნო ხმას ართმევსო. ყუბანის ყაზახები თავისი მოქმედებით სამოქალაქო ომის ცეცხლს აჩაღებენ, რის პასუხისმგებლობაც მათ დააწვებათ სრულიადაო. ორატორის ლაპარაკის დროს შეუწყვეტელი ხმაურობაა. მემარცხენეთა ფრთაში მხოლოდ ფრონტიდან ჩამოსული აფიცრები და ყაზახები დარჩნენ, რომელნიც რადის მხოლოდ მეხუთედ ნაწილს შეადგენენ.

**ყუბანის ყაზახთა რესპუბლიკა**

**ეკატერინოდარი.** ღვინ. 6. პროექტის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ პროექტის წინააღმდეგნი არიან ფრონტის წარმომადგენლები და თემის წევრიგლეხები. სოტნიკმა გერვასიმ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დამფუძნებელ კრების უფლებათა უზურპაციის წინააღმდეგ. თემურად მცხოვრებმა გლეხებმა კრებას თავისი დეკლარაცია წაუკითხეს, სადაც ნათქვამია: გამოცხადებითი წესით ფედერაციის საკითხის გადაჭრის შემდეგ მოსალოდნელია მიწის საკითხიც იმავე წესით გადაწყდესო. დეკლარაციის გამოქვეყნებისას დარბაზში დიდი ხმაურობა იყო. რადამ პროექტი მიიღო. თემურად მცხოვრებმა გლეხებმა დარბაზი დასტოვეს. რადა აცყობინებს მთავრობას, კანონი დაუყოვნებლივ შედის ძალაშიო.

**სამხრეთ აღმოსავლეთის კავშირი**

**ეკატერინოდარი.** ღვინობ. 7. ჯარის რადამ გაადგინა შეჰქმნას სამხრეთ აღმოსავლეთის კავშირი, რომელშიაც შევლენ ყუბანის, თერგისა და ასტრახანის ყაზახები, ჩრდილოეთ-კავკასიის მთიულნი, დონის ოლქისა და ასტრახანის გუბერნიის მცხოვრებნი. კავშირის შედგენის მიზანია სახელმწიფოს საღი ნაწილები გახრწნას გადაარჩინოს, ძლიერ ეროვნულ მთავრობის შექმნას ხელი შეუწყოს, კავშირში შესულ ერთა უფლებები დაიცვას და მტერთან და ანარქიასთან იბრძოლოს. ფედერატიულ მართვა-გამგეობის პროექტის განხილვის შემდეგ რადა მას მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად. ამავე დროს რადა საკანონმდებლო მუშაობას განაგრძობს. რადამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საოლქო რადას ავალებს ოლქის სხვა ეროვნებათი მართვა-გამგეობაში მონაწილეობისათვის საგანგებო პროექტი შეიმუშაოს.

**ციმბირის მაჰმადიანთა ყრილობა**

**ტომსკი.** ღვინობ. 7. გაიხსნა ციმბირის მაჰმადიანთა ყრილობის კრება. ყრილობამ უნდა განიხილოს ციმბირის მაჰმადიანთა ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ციმბირის საოლქო ყრილობასთან დამოკიდებულება და სარწმუნოებრივი გაერთიანება.

**უკრაინა და რუსეთი**

**კიევი.** ღვინ. 6. გაიხსნა პირველი უკრაინული სახალხო უნივერსიტეტი.

**საადგილ მამულო ინსტრუქციის დამტკიცება**

**კიევი.** ღვინობ. 6. მცირე რადის საწრაფო სხდომაზე მიღებულ იქმნა მთავარ სეკრეტარიატის მიერ შემუშავებული საადგილ-მამულო საქმეების ინსტრუქცია, რომელიც ამტკიცებს მის კომპეტენციის სფეროს და ადგილობრივ ორგანოებთან დამოკიდებულებას. რადამ მიიღო აგრეთვე უკრაინის საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტის დებულება.

**ეროვნებათა საბჭო**

**კიევი.** ღვინობ. 6. ეროვნებათა საბჭომ სესია ღვინობისთვის 5 სათვის დანიშნა იწვევენ იმ ერებს, რომელთაც ენკენისთვისთვის ყრილობაზე წარმომადგენლები არ ჰყავდათ.

## საჭამია-სერის ამბები.

(გ უ რ ი ა).

ჩვენს ძველებს ძვირფას და ზედ-გამოჭრილი ჩვენს ბუნებასთან შეფარდებული ანდაზები უთქვამთ, რომლებიც დღეს სავსებით ხატავს ჩვენს ხასიათს. მაგალითად: „უკუდო ხარი სხვას ბუზებს უგერებდაო“, „ყვავს არ ქონდა ბუზს გაქონდაო“; „არა მუშა სხვის ეზოს თოხნიდაო“, „უჭკუო სხვას ჭკუას აძლევდა“. ეს უკანასკნელი ანდაზა მაინც სავსებით ეხება ჩვენს კურთხეულს სოფლებში მომუშავეთ, ჩვენი მოსოციალისტო „ბავშები“ მუდამ ყურში ჩაჩიჩინებს ჩვენი სოფლის ღარიბებს (და ღარიბი ვინ არაა ჩვენში!), რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც თქვენი იქნება მდიდართა და მემამულეთა ქონებაო.

რუსეთში ამბობენ: მიწა მიწის მუშასო და ეს ლოზუნგი ჩვენშიც გადმონერგეს და გლეხებს ისე ჩააგონეს, რომ მის მეზობელს თუ მასზე ერთი ქცევა მიწა მეტი აქვს, იმას წაართმევენ და შენ მოგცემენო! მთელს გურიაში ვინც მემამულეთ ითვლება, ყველას რომ მთლათ ჩამოართვათ მიწა და ვისაც აკლია ყველას რომ თანაბრათ დაურიგოთ, თითოეულს ქცევის მეხუთედი არ შეხვდება... ვსთქვათ: მათ ეზოსთან რომ ქცევის მეხუთედი მისცეთ ვარს არ იტყვის, მარა თუ ერთ დღის სავალზე მეხუთედი ქცევა შეხვდა არც მადლობას გეტყვის ვინმე და არც წავა სამუშევრათ.

საჭამია-სერის ახლო-მახლო, ხუთ და ათ ვერსტზე მცხოვრებთა შორის ერთი მემამულე არ ურევია ისეთი, რომელსაც თავის საყოფ მიწაზე მეტი ქონდეს. მაშ, ვის რა უნდა ჩამოართვან და ვის რა უნდა მისცენ? ეშმაკს ღვინო არ ქონდა და გუდას ალბობდა. სოც.-დემ—ბი ჩამორთმეულ მამულს მუქთათ ხომ მაინც არავის აძლევენ? აძლევენ მხოლოდ ლალით და ლალით დღევანდელი მემამულეც ხომ იძლევა მიწას? ცვლილება მხოლოდ იმაშია რომ ახლანდელი მემამულის მაგიერ მეორე ვინმე იქნება. ი. ე. ივანეს მაგიერ პეტრე.*)

რაც შეეხება სოციალიზმის ქვეყნათ დამყარებას, ცოტა არ იყოს, ასეთ ოცნებას შორი მანძილი უდევს წინ და დღეს კი იგი თუ ოცნებაა, თუმცა ოცნებაც კაი საქონელია ხანდახან—იმერელისა და ხიზილალის არ იყოს!

ეს ასეა, მარა, საჭამია სერზე თურმე მაინც ხშირათ ხდება ხალხის თავყრილობა. ოცნებობენ, ბაასობენ, ტკბებიან დანაპირით, მჭერმეტყველობენ და მანანასავით მოელიან სულ მალე ყველაფრის განსაზოგადოებრივობას.

ამ სოფლის მცხოვრებნი კულტურული ხალხია. ამ სერზე აქვთ ორ კლასიანი სამრევლო სასწავლებელი და უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლა; აქვთ კოოპერატიული დუქანი; არის რამდენიმე სავაჭრო დუქანი. ხელს უშლის მხოლოდ უგზობა, თორემ, რომ კარგი გზები ჰქონდეთ—სოფელი დიდ შეღავათს და სარგებლობას მოიპოვებს. ფოსტის ნებართვა მიღებულია კიდეც გადაწყვეტილია გზის გაკეთებაც. გზა უნდა გაიყვანონ ამ სერიდან საჯავახოს სადგურამდის. ფოსტისა და ლინეიკის მიმოსვლა თუ გაჩაღდა, მერე ამ სოფელს ერთი სოფელიც ველარ აჯობებს.

აქაური მცხოვრებნი ძალიანი ნიჭიერი ხალხია, მარა პარტიული ჟინით მეტათ გატაცებულია; მიზდევენ სოციალდემოკრატიულ მოძღვრებას და რაც ერთხელ ჩაუძახნიათ, იმას არც იქეთ უხვევენ და არც აქეთ. აქ მასწავლებლობს ბ. სიმ. რამიშვილი და 1905 იდან მხოლოდ ამ „მოღვაწის“ ცნებას ემორჩილებიან უცვლელათ. ან კი რა ქნან? ამდენი ხანია და ერთხელაც არ მოსულა არც ერთი სხვა პარტიის მოლაპარაკე—ჩამგონებელი ამ სოფელში ამ მხრით, ბ. რამიშვილს მასწავლებლს კი არა: აღთქმის ანგელოზს უძახიან. სოციალდემოკრატიამ საქართველოს ავტონომია მიიღო და აქ კი ძველებურ ჟინს ადგიან. სიმონი შიშობს, რომ აუხსნას ხალხს, რომ ავტონომია ის რომელითაც წინეთ აშინებდა ხალხს ქვეყნის დამღუპველათ აჩვენებდა ახლა როგორ უნდა გამოვიდეს მის დამცველათ და ამიტომაც—სდუმს. ამას წინათ აქ ბ. ის. რამიშვილი ჩამოვიდა და სხვათა შორის ავტონომიის საჭიროებაზედაც ილაპარაკა. ამ სიმონ რამიშვილის მრევლმა ა. ისიდორე ასე მონათლა: ეს გაფედერალისტებულა, თორემ ავტონომიას, ამ წაწყმედილ სიტყვას, როგორ ახსენებდაო.

გაზეთ „სოციალ დემოკრატის“ ენკენისთვის ერთ-ერთ ნომერში იყო წერილი მოთავსებული საჭამიას სერიდან. წერილი ილიკო ყენიას „კალამს“ ეკუთნოდა. ავტორი სწერდა: ინტერნაციონალიზმის დღესასწაული მაისში ვერ მოვახერხეთ და ასე გვიან, მეხუთე თვეზე გავმართეთო. ის ამბობდა: დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ს. რ—შვილმა გახსნა კრება და თავმჯდომარის არჩევა სთხოვა დამსწრეთო. თავმჯდომარეთ იგივე სიმონი აირჩიეს; იმან სთქვა სიტყვა და ტაშიც მას დაუკრესო. სიმონს ყველაფერი მისი ნათქვამი ბ. თევზაძემ სავსებით დაუმოწმაო, და ხალხი ნასიამოვნევი დაიშალაო, ამბობს ლადიკო ყენია. როგორც საქმიდან ირკვევა, აქ მარტო ორი „შეგნებული“ სოციალისტი ყოფილა ამ დღეს: ერთი „თვითონ“ დათიკო ყენია და მეორე ს. რამიშვილი; მესამე კი, ბ. თევზაძე შემთხვევით დამსწრე.

მე მგონია, რომ ენკენისთვეში, გაცხარებულ სთველობაზე როდესაც სოფელს ცეცხლის მუშაობა აქვს, წლის სარჩო მინდვრათ უყრია, სოფლისთვის გულშემატკივარმა ადამიანმა უნდა ურჩიოს სოფელს! „არიქა, ძმებო, წლის სარჩო ჯოგმა არ შეგიჭამოთ, იმუშავეთ, ერთი ფუთი სიმიდი 15 მანეთათ ღირს, არ დაკარგოთ, ნამუშევარი სახლში მიზიდეთო“ თორემ, ვინც ამ დროს მუშას აცდენს: არიქა, მოდით, ჩემს ლათაიებზე ყური დამიგდეთო, —ასეთი ხალხის ერთგული, ხალხის მტრათ და ხალხისთვის შეუგნებელ მოკეთეთ უნდა ჩაითვალოს.

თქვენი ცოდვა მქონდეს, თუ ბ. ლადიკო ყენიამ და ან ს. რამიშვილმა გარკვევით იცოდეს, ან ინტერნაციონალის მნიშვნელობა ჩვენი მიწის მუშისთვის რა მოხდა 1864 წელს ამ საგანზე და ან რით დამთავრდა 1874 წელს მაშ, რით აიხსნება, რომ გაჭირვებულ მუშაობის დღეს, როდესაც წლის სარჩო ხალხს მინდვრათ უყრია, როცა ერთი საათი მუშას სხვა თვეების ათ დღეთ უღირს, ისინი ხალხს აცდენენ ლათაიებს ასმენენ? რით გაუწია დახმარება? რით აგრძნობია რაიმე, როგორც სოფლის მასწავლებელმა? მარა, რომ ასე არ ექნათ, რით გამოიჩინათ თავი სოციალდემოკრატიულ გაზეთში, როგორც სოციალისტებს და ინტერნაციონალისტებს? რით ეცნობებინათ ქვეყნისთვის, რომ „ჩვენც ამ ჯოგისავართო“?

ეს წერილი ანდაზებით დავიწყე და ანდაზებითვე ვათავებ ამ ვაჟბატონთა საგულისხმოთ: „მივლა-მოვლას ვყვებოდიო, მოსახლობას ვცდებოდიო“... „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხ“-ო.

**თხილამური.**

*) რუსეთში თუ გასავალი აქვს ლოზუნგს: მიწა მიწის მუშასო, ჩვენში სრულიად უსაფუძვლო და უმნიშვნელოა, რადგან ჩვენში სულ ყველა წვრილი მემამულეა და დიდი მემამულე სულ ცოტა. რუსეთში კი, ერთის მხრით დგას უზარმაზარი მემამულეები ასი-ათას დესეტინობით მიწის პატრონი, ხოლო მეორე მხრით არიან სრულიად უმიწო გლეხები და ამიტომ ვამბობთ: იქ აქვს მნიშვნელობა ამ ლოზუნგს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**სასამართლოს საქმეების ესტონურ ენაზე წარმოება**

იუსტიციის მინისტრთან მალინტოვიჩთან იყო ესტონელთა დელეგაცია, რომელმაც აუწყა, რომ ესტონეთის ერის მოითხოვს ესტონეთში სასამართლოს საქმეები სწარმოებდეს ესტონურ ენაზე მინისტრი თანხმობით შეეგება ესტონეთის წარმომადგენლებს და უპასუხა, რომ მოახდენს განკარგულებას მათ დასაკმაყოფილებლათ.

**ა ნ ა რ ქ ი ა**

კიევის გუბერნიაში ანარქიამ საზარელი სახე მიიღო. მიწის მესაკუთრეთა კავშირი (ყუმანის მაზრა) კერენსკის დეპეშით ატყობინებს, რომ სოფელში ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა, განუწყვეტელი თავდასხმებია, სძარცვავენ გზათ მგზავრთ. ჰკლავენ მცხოვრებლებს და იტაცებენ დიდ ქონებას. უკრაინის სეკრეტარიატის თავმჯდომარემ ვინიჩენკომ პოლტავის კომისარისაგან ცნობა მიიღო, რომ პოდოლის გუბერნიის ნახევარი ანარქიის ალში გახვეული იღუპება სოფლები და ხალხი. სეკრეტარიატის თავმჯდომარემ ვინიჩენკომ სამხრეთ დასავლეთის ფრონტის სარდალს სთხოვა, პოდოლის გუბერნიაში ჯარი გაგზავნოს.

**ფრონტზე მყოფ ყაზახთა განცხადება**

ბრძოლის ველზე მყოფ ყაზახთა ჯარის კავშირმა შემდეგი განცხადება წარუდგინა დრ. მმართველობას. „ყაზახები მხურვალე პროტესტს აცხადებენ ცალკე პოლიტიკურ პარტიების მიმართ რომელნიც მათ უნდობლათ უცქერიან და კონტრ რევოლუციონერობასაც სწამებენ. ყაზახნი რუსეთის მშრომელ მასის სწორ უფლებიანი ნაწილია და დიდათ მადლობელი იქნებოდა თუ მმართველობა მათ გაანთავისუფლებდა სამხედრო პოლიტიკურ ბეგარისაგან (ყაზახები მუდამ ეწევიან სამხედრო ბეგარას). ამას გარდა ყაზახები მოითხოვენ, რომ მათ მიენიჭოს არჩევნების უფლება ე. ი. რომ მათ აირჩიონ თავის კაცები ბრძოლის ველზე ყაზახთა მიმართ ყოველივე უკმაყოფილების გამოცხადება თუ შენიშვნები პირველათ ამომრჩეველ კაცებს უნდა ეცნობოთ და ეს უკანასკნელნი კი ყაზახებს გადასცემენ ამა თუ იმ საქმეს.

**დამფუძნებელი კრება მოსკოვში**

დრ. მმართველობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, რომ დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქმნას მოსკოვში.

**იურიდიული თათბირი**

დრ. მმართველობამ საჭიროთ დაინახა მოიწვიოს იურიდიული თათბირი დამფუძნებელ კრებისთვის კანონების და იურიდიულ საფუძვლების შესამუშავებლათ.

**წინასწარ პარლამენტში.**

წინასწარ პარლამენტის ცენზიანმა წრეებმა გადასწყვიტეს შეადგინონ ინფორმაციული ბიურო ყველა ეროვნებათა წარმომადგენლობით, რომელიც ცენზიან ელემენტებთან ერთად ეროვნულ კითხვისთვის მასალებს მოამზადებს.

**ესერების წინადადება.**

ესერებმა აქსენტიევს წინადადება მისცეს იყოს წინასწარ პარლამენტის თავმჯდომარეთ, აქსენტიევი დათანხმდა.

**[illegible]**

წინასწარ პარლამენტის [illegible] ხალხის დაუსწრებლათ (დახურული მოხდება. მოხსენებას წაიკითხავენ ვერხოვსკი და ვერდერევსკი.

**გ. გორკის გამორიცხვა**

ინგლის რუსეთის კომიტეტმა პროფ. ჯენკინსკის წინადადებით სასურველათ დაინახა, რომ მაქსიმე გორკი როგორც ანტი პატრიოტულ პროპაგანდის მწარმოებელი კომიტეტის წევრობიდან გამორიცხულ იქმნას.

**ჯარისკაცთა სექციის რეზოლუცია.**

ჯარის კაცთა სექციამ მეუმრავლესე ტროცკის წინადადებით შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: „მთავრობა ყოველშემთხვევაში არ უნდა წავიდეს პეტრეს ქალაქიდან, თუ წავიდა, ეს იმას მოასწავებს, რომ მმართველობა ბრძოლის ველიდან დეზერტირობას ეწევა და რევოლუციები დედაქალაქს ბედის ანაბარათ სტოვებს, თუ მას არ შეუძლია საქმის გაძღოლა, საჩქაროთ ზავი ჩამოაგდოს და თავის ადგილი სხვა მთავრობას დაუთმოს.

**კორნილოვი მოღალატე არ არის.**

გენ. ალექსეევმა ჟურნალისტებს განუცხადა რომ გენ. კორნილოვი სამშობლოს წინაშე მოღალატე არ არის, რასაც მიუდგომელი სასამართლო უსათუოდ დაამტკიცებსო.

**პროვაკატორი.**

ესერთა ოდესის პარტიულ კომიტეტის თავმჯდომარეს ქალაქის გამგეობის წევრი და დამფუძნესელ კრების კანდიდატი დამცველ განყოფილების წევრი აღმოჩნდა იგი მიიმალა.

**უნივერსიტეტის დიპლომი.**

**ბურცვის გაზეთი**

„საერთო საქმე“ სწერს: განათლების სამინისტროში მეტად სიმპატიური მოსაზრება არის წამოყენებული. უნდა შეიცვალოს უნივერსიტეტის დიპლომის ძველი მნიშვნელობა, სახელმწიფო სამსახურში შესვლის და ჩინის მომატების შესახებ. შეიცვლება აგრეთვე დიპლომის ტექსტიც. დიპლომში აღნიშნული იქნება, უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერების ამა თუ იმ ნაწილის შესწავლა, სხვა არავითარი პრივილეგია არ იქნება ნაჩვენები.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8½ ს. 25 „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ, ტელეფონი № 135.